დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ქუთაისური საუბრები

III

KUTAISI DISCUSSIONS
PROCEEDINGS OF THE SYMPOSIUM

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან
არსებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

DIALECTOLOGY RESEARCH INSTITUTE
AFFILIATED TO KUTAISI AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

ქუთაისური საუბრები—III

სიმპოზიუმის მასალები

KUTAISI DISCUSSIONS — III

PROCEEDINGS OF THE SYMPOSIUM

1996

2. **ფონეტიკური იზომორფიზმი** (როცა ესა თუ ის დექსემა რომელსამე დიალექტში წარმოდგენილია ფონეტიკური სახეცვლილებით);

3. **დექსიკური იზომორფიზმი** (როცა ყველა დიალექტში ერთნაირადაა წარმოდგენილი ესა თუ ის სიტყვა და ამასთან ერთად ორ ან მეტ კილოში დამატებით აღმოჩნდება დექსიკურად განსხვავებული ვარიანტი);

4. **ფონეტიკურ-დექსიკური იზომორფიზმი** (როცა დექსიკური ერთეული ფონეტიკური სახეცვლილებითაა წარმოდგენილი და დექსიკურადაც იცვლება ამა თუ იმ დიალექტში);

5. **ზეიზომორფიზმი** (როცა ყველა დიალექტში წარმოდგენილია ერთი და იგივე დექსემა, მაგრამ გვაქვს პარალელური ფორმებიც რომელიმე კილოში).

ჩვენთვის საანალიზო მასალას წარმოადგენს ენის ძირითადი დექსიკური ფონდის უძველესი და მდგრადი ნაწილი — კორპორალური დექსიკა, რომლის შეპირისპირებამ ქართული ენის დიალექტებთან მოგვცა მეტად საინტერესო სურათი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სინამდვილეში ესა თუ ის დექსიკური ერთეული ნაკლებად ვარირებს.

დიალექტური მასალის ასეთი ანალიზის მოშველიებით მივიღებთ ისეთ შედეგს (თუმცა მიახლოებითს), რომელსაც ვერ მოგვცემს იმავე მასალის დეტალური კარტოგრაფირება, ამასთანავე შესაძლოა გადაწყდეს იზომორფიზმისა და ალომორფიზმის პრობლემებიც.

როცა ამა თუ იმ ენაში დექსემათა სახესხვაობა მეტია დიალექტების მიხედვით, დექსიკოგრაფიული ანალიზი უფრო ეფექტურ შედეგს იძლევა, ხოლო როცა ნაკლებია, მაშინ მიმართავენ კარტოგრაფიულ მეთოდს (იზოგლოსებს, არეალურ კავშირებს და სხვა).

პაატა გუხრაშვილი (თბილისი. არქეოლოგიის კვლევითი ცენტრი)

კავკასიის უძველესი მოსახლეობის ეთნოგენეზისის კვლევის საკითხისათვის

კავკასია წარმოადგენდა ერთერთს იმ ცენტრთაგანს, სადაც მომზადდა ეკონომიკურ და კულტურული პროგრესის გადამწყვეტი ნახტომი (მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ჩასახვა-განვითარება), რომელიც სამართლიანად იწოდება ნეოლითურ რევოლუციად. მოგვიანო პერიოდში (მე-6-4 ათასწ. ჩვ. წ. აღ.) კავკასიის ალრესამიწათმოქ-

მედო კულტურები შესამჩნევად ჩამორჩებოდა წინა აზიის, მესოპოტამიის და ირანის ცივილიზაციებს; ძვ. წ. მე-4-3 ათასწლეულების მიჯნაზე აღრესამიწათმოქმედო კულტურების პერიოდს ცვლის მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელიც გამოირჩევა მყარი კულტურული სტანდარტების და ეტალონების ერთობ ფართო ტერიტორიაზე გავრცელებით. ამ დროს აშკარად ხდება კულტურული ინტეგრაცია, რომელიც ერთერთი წინაპირობაა ურბანიზებული პროცესებისა. მაგრამ როგორც აღნიშნულია (მასონი; კუშნარიოვა...), ხდება მკვეთრი შემობრუნება სამეურნეო ცხოვრებაში და წამყვან მიწათმოქმედებას ცვლის წამყვანი მესაქონლეობა დამხმარე მიწათმოქმედებით, რაც შემაგრებულია მეტალურგიული საქმიანობით. ასე რომ, სამეურნეო ხასიათის ცვლილებებში ხედავენ კავკასიაში აღრეული და შუა ბრინჯაოს ხანის კულტურებს შორის რადიკალური სხვაობის საფუძველს.

ჩვენი აზრით, ამ კულტურებს შორის თვისობრივი სხვადასხვაობის სულ სხვა საფუძვლები არსებობდა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ეთნიკური ხასიათის ცვლილებები. სავარაუდებელია, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევრიდან კავკასია ხდება ხალხთა დიდი გადასახლებისა და სხვა არაადგილობრივი წარმომავლობის ეთნიკური მასების შემოჭრის ასპარეზი, რაც, პირველ რიგში აისახა თვისობრივად სხვა ხასიათის სამეურნეო ცხოვრების წესის დაწინაურებით და ადრეული ყორანების კულტურის გამოჩენით.

ჩვენ ვთვლით, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მტკვარ-არაქსის დაწინაურებული კულტურის მოსახლეობას უეცრად შეეცვალა თავისი ძველი, ალმავლობის გზაზე მდგარი სამეურნეო კულტურული ყოფა და უეცრად დასდგომოდა სრულიად განსხვავებულ სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებას, რომელიც მისი სტაგნაციის საფუძველი გახდა. ამის მიზეზს ჩვენ ეთნიკური ხასიათის ცვლილებებში ვხედავთ, რაც თავის მხრივ აისახა არქეოლოგიურ მასალაში, კერძოდ ამაზე მიგვანიშნებს ძველური სამშენებლო ტრადიციის გამოჩენაც.